

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

—აპრილი 2018 წელი

ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, გიორგი მუხაძის ქუჩასთან არსებული უსახელო
შესახვევისთვის გიორგი მუხაძის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) სამგორის რაიონში, გიორგი მუხაძის ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს გიორგი მუხაძის I შესახვევის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



X:493,393.340
Y:4,615,590.864

X:493,397.237
Y:4,615,579.245

X:493,434.965
Y:4,615,672.844

X:493,560.140
Y:4,615,744.415

X:493,557.005
Y:4,615,658.305

გორაკი მუხადის I ფეხი

1:1,500

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

მოქ. ზოდესი გუჩუაძე

მცხ. ილიკა მანუჩაძის №12


ტელ. 592364994

პ/ნ 23001000592

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

განხილვა უსახელო ყურს მიმართული
სახელმწიფო საჯარო სკოლა

01.19.17.011.023 (აუ შესაძლებელია მიმართული
განხილვის 3-ე შესახებ)



27.12.2017





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



წერილის ნომერი: **03-031802983**

თარიღი: **29.01.2018**

ადრესატი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

ასლი

გოდერძი გუჩაშვილი

პირადი ნომერი: 23001000592

მისამართი: თბილისი ორხევი თ.ჩანტლაძის ქ.
N 12 ბ. 9

გაცნობებით, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი მოქალაქე გოდერძი გუჩაშვილის 2017 წლის 27 დეკემბრის საქმე #19/031736125-03 დაკავშირებით, უსახელო ქუჩის სახელდებაზე (ს.კ. 01.19.17.011.023).

როგორც მოგეხსენებათ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია ვალდებულია სახელდების შესახებ დაყენებულ ინიციატივას დაურთოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურიდან (სსიპ-ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური) მოპოვებული გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი კარტოგრაფიული მასალა XY კოორდინატების მითითებით WGS-84 კოორდინატთა სისტემაში. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები. ჩვენი მოსაზრებით, ქუჩის განვითარების არეალმა უნდა მოიცვას ჩვენს მიერ რუკაზე არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია (იხილეთ დანართი).

გთხოვთ, შეისწავლოთ განცხადებაში მითითებული გარემოებები და გამოგვიგზავნოთ ქუჩის სიტუაციური ნახაზი შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო - სახელდებისა და
სიმბოლიკის კომისია - კომისიის
თავმჯდომარე

თ. ნიბლოშვილი

თინათინ ნიბლოშვილი



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
არქიტექტურის სამსახური



წერილის ნომერი: **60-01180442954**

თარიღი: **13.02.2018**

ადრესატი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

**ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და
სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს
ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს
მის:თავისუფლების #2
ტელ:+995(32)2 15 92 92**

ქალბატონო თინათინ,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 29.01.2018 წლის 03-031802983
(29.01.2018 #14-01180294036-60) განცხადება, რომლის პასუხადაც გაცნობებთ, რომ
თქვენი მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული
ჩიხების, შესახვევებისა და გასასვლელების მითითებით.

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახური - მიწის ნაკვეთის
საზღვრების მომზადების განყოფილება -
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

რუსუდან გეჯაძე

